

ირაკლი კინწურაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

**საგადასახადო პრეფერენციების
გამოყენების ზოგიერთი
პრობლემური საკითხი საქართველოში**

საქართველოს ეკონომიკის ბოლო წლების განვითარების ანალიზი იმაზე მიგვანიშნებს, რომ საჭიროა საგადასახადო სისტემის სრულყოფა და განმტკიცება. აუცილებელია ჩვენი მეწარმე-ბიზნესმენების დარწმუნება იმაში, რომ გადასახადის გადახდა აუცილებელი და გარდაუვალია ქვეყნის შემდგომი განვითარებისა და საზოგადოების კეთილდღეობისათვის.

ხელისუფლების მხრივ კი აუცილებელია არსებული მდგომარეობის გათავისება და სახელმწიფო ხარჯების იმ დონემდე შემცირება, რისი ატანაც ფაქტობრივად შეუძლია მის ეკონომიკას.

დღეისათვის დისკუსიის საგანია საგადასახადო კანონმდებლობის გამარტივებისა და მთლიანი საგადასახადო სისტემის რეორგანიზაციის საკითხი. სამწუხაროდ, გადასახადების ზემოაღნიშნულ ორ ძირითად ფუნქციას შორის ოპტიმალური თანაფარდობის ისეთი მიმართულება, როგორცაა საგადასახადო

პრეფერენციების გამოყენება. ამ მხრივ ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე მინიმუმამდე იქნა დაყვანილი საგადასახადო შეღავათები. საჭიროა იმის გათავისება, რომ კანონიერი შეღავათები არ შეიძლება დანაკარგებად განვიხილოთ მაშინ, როცა ისინი ხელს უწყობენ წარმოების სტიმულირებას, ინოვაციურ პროცესს, ინვესტიციების ზრდას, ეკონომიკურ აქტივობას, აგრეთვე სოციალურ ამოცანათა გადაწყვეტას, უმწეო ადამიანთა სოციალურ დაცვასა და სხვას.¹⁷

ჩვენს ქვეყანაში ბიუჯეტის არაოპტიმალური ხარჯებისა და საგადასახადო სისტემის არაეფექტიანობაზე სამართლიანად მიგვითითებენ საზღვარაგერტის საფინანსო-საკრედიტო და სავაჭრო-საშუამავლო ორგანიზაციებიც. «საჭიროა გადასახადების შემცირება, ე.ი. საგადასახადო განაკვეთების შემცირება გარკვეულ სექტორებში ან მისი საერთოდ ამოღება იმ სექტორებში, სადაც საქართველოს შანსი აქვს უპირატესობა მოიპოვოს, ამ

¹⁷ მალაშხია გ. გადასახადების ობიექტურობისა და ეფექტიანობის პრობლემა. კრებული “გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში,” ტომი 3 - თბ., ფსკი, 1999, გვ. 113.

შემთხვევაში სოფლის მეურნეობა და ტურიზმი ავიღოთ. ასეთ პირობებში ინვესტორი საქართველოში შემოვა და არა თურქეთში და აზერბაიჯანში, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მათ ჩვენზე უკეთესი პირობები აქვთ თავიანთი საგადასახადო ტარიფებითა და მომართული სახელმწიფო პოლიტიკით. ამიტომ ინვესტორიც, რა თქმა უნდა, იქ ჩადებს ფულს, სადაც უკეთესი პირობები და მოგების მიღების მეტი შანსი იქნება"¹⁸

საგადასახადო შეღავათები საგადასახადო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია. მიუხედავად ამისა, დღემდე არაა შემუშავებული რეალური საგადასახადო შეღავათების კლასიფიკაცია, ისეთის, რომელიც რეალურად შეუწყობს ხელს ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას.

პრაქტიკით დადასტურებულია, რომ გადასახადის განაკვეთის ხელოვნური გაზრდა აფერხებს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, სტიმულს უკარგავს მეწარმეებს და ისინიც ცდილობენ თუმცა გადარჩენის მიზნით «ჩრდილოვან ეკონომიკას» შეაფარონ თავი. პროფესორ ა. ლაფერის ხელმძღვანელობით

ამერიკელი ექსპრეტების მიერ დადგენილ იქნა, რომ საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის შემცირება, მართლია, დროებით ამცირებს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს, მაგრამ საბოლოო ჯამში გრძელვადიან პერსპექტივში ზრდის მას. ასეთი მოქმედება მეწარმეთა აქტივობით, შემოსავლის ზრდით და მასთან ერთად დასაბეგრი სუბიექტების გაზრდით მიიღწევა.

გადასახადების შემცირება მეწარმე-ბიზნესმენებს საშუალებას აძლევს გაზარდონ მოგება და ამის საფუძველზე მოხმარების თანხაც. მოხმარების თანხის მაღალი დონით მეწარმეს საშუალება ეძლევა იფიქროს წარმოების გაფართოებაზე, ახალი ტექნიკა-ტექნოლოგიების შემოტანასა და დანერგვაზე, ნორმალური მარკეტინგული კვლევის და სხვა საჭირო ღონისძიებების გატარებაზე, რაც, საბოლოო ჯამში, გავლენას ახდენს ბაზარზე საქონლის პოზიციურობაზე და ნორმალური კონკურენტული ფასის დადგენაზე.

საქართველოში მოქმედ საგადასახადო კოდექსში არაა მოცემული რეალური საგადასახადო შეღავათების ჩამონათვალთა ნუსხა, ხოლო რომელიც მოცემულია,

¹⁸ მაკრო-მიკრო ეკონომიკა - 2000 წ. გვ. 23.

რეალურად არავითარ დადებით გავლენას არ ახდენს ბიზნესის რეალურ განვითარებაზე და ეს მაშინ, როცა, თუ გადავხედავთ განვითარებული ქვეყნების საგადასახადო კოდექსებს, მათში საკმაოდ დიდი ადგილი უკავია საგადასახადო შეღავათების ჩამონათვალს.

საგადასახადო შეღავათების სისტემაში უნდა მოექცეს საგადასახადო გამოქვითვები და ფასდაკლებები, რაც საერთაშორისო დონეზე აღიარებულია როგორც საგადასახადო რეგულირების პრეფერენციული ინსტრუმენტები, რამეთუ მათ გააჩნიათ მასტიმულირებელი, ინვესტიციური, სოციალური და სხვა მარეგულირებელი მიმართულება. გარდა ამისა, საჭიროა საგადასახადო შეღავათების სისტემაში გაერთიანდეს ისეთი ეკონომიკური მექანიზმები, როგორცაა გადასახადის გადახდის განვადება და საგადასახადო კრედიტი. ამ უკანასკნელთა საშუალებით შესაძლებელია საგადასახადო ვადებულების შემცირება-შემსუბუქება, რაც სრულად პასუხობს საგადასახადო შეღავათების შინაარსის გაგებას. მათი

გამოუყენებლობა ამცირებს საგადასახადო რეგულირების ეფექტიანობის ამალგებას.

საჭიროა, ყველა საგადასახადო შეღავათი მოექცეს სამ ძირითად გამსხვილებულ ჯგუფში: 1. საგადასახადო გათავისუფლება; 2. საგადასახადო ფასდაკლება; 3. საგადასახადო კრედიტი.

- საგადასახადო გათავისუფლება - ნიშნავს გადასახადის გადამხდელის გათავისუფლებას იმ საგადასახადო დავალიანებისაგან, რომელიც მას დაუგროვდა საგადასახადო კანონდარღვევათა გამო საჯარიმო სანქციების დაწესების შედეგად. უპირველეს ყოვლისა, იგი უნდა შეეხოს იმ ბეგარაგადამხდელს, რომლებმაც საგადასახადო კანონდარღვევა მოახდინეს უნებლიედ, არაწინასწარგანზრახვით. აღსანიშნავია, რომ გარდამავალ ეტაპზე ახალ საგადასახადო კოდექსში თითქმის ყოველთვიურად ხდება ცვლილებების შეტანა და იმავდროულად სახელისუფლებო სტრუქტურები ვერ უზრუნველყოფენ გადასახადის გადამხდელთა ინფორმაციულ უზრუნველყოფას, რის

გამოც ხდება დავალიანების წარმოქმნა და დაგროვება.

ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფო თავის თავზე იღებს საგადასახადო ცვლილების ყოველი ფაქტის შესახებ სრულიად და ამომწურავად ბეგარის გადამხდელთა ინფორმირებას. საქართველოს პირობებში კი ვითარება ამ მხრივ არადაამაკმაყოფილებელია, საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი სიახლეების შესახებ მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება თითქმის არ ხდება და არ არსებობს პარტნიორული, საქმიანი დამოკიდებულება ბეგარის გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოების მუშაკთა შორის. ამიტომაც აუცილებელია საგადასახადო ამნისტიის მეთოდის გამოყენება იმ ბეგარის გადამხდელთათვის, რომლებმაც არამიზანმიმართულად, არამედ უნებურად კანონებში ცვლილებების შეტანის საფუძველზე დაუშვეს შეცდომა საგადასახადო გაანგარიშებებში და ამის შედეგად დაუგროვდათ საგადასახადო დავალიანება.

- საგადასახადო შეღავათი - ნიშნავს გადასახადის გადამხდელთა

ცალკეული კატეგორიების მთლიანად გათავისუფლებას გადასახადისაგან. აღნიშნული მიდგომა ძირითადად შეეხება სამამულო ომის ინვალიდებს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეებს, სხვადასხვა კატეგორიის ინვალიდებს და ა. შ. ასეთი შეღავათი ძირითადად ვრცელდება პირად გადასახადებსა და მოსაკრებლებზე და ნაკლებად იურიდიულ პირებზე. საქართველოში არსებობენ ინვალიდთა საწარმოო და საზოგადოებრივი გაერთიანებები, რომლებიც საგადასახადო კოდექსის თანახმად სარგებლობენ საშეღავათო სისტემით. ამასთან აღსანიშნავია, რომ ასეთი შეღავათების სისტემა ხშირად იცვლება, რის გამოც ხდება დაპირისპირება ხელისუფლებასა და შეღავათს დაქვემდებარებულ სტრუქტურებს შორის, რაც ზრდის საზოგადოებაში სოციალურ დაძაბულობას.

დღეისათვის მოქმედ საგადასახადო კოდექსში არის საშეღავათო ჩამონათვალი,¹⁹ («საქართველოს საგადასახადო კოდექსი» მუხლი 168). თუ

¹⁹ „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“ თბ. 2005წ. გვ.122 – 126.

გადავხედავთ ამ შეღავათების ნუსხას, ნათლად ჩანს, რომ საგადასახადო შეღავათების სისტემა საქართველოში რეალურად არ არსებობს. არსებული საშეღავათო სისტემა ნამდვილად ვერ შექმნის მეწარმეობის განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს. რეალური საშეღავათო სისტემის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა აღსდგეს საქართველოში 1996 წლამდე არსებული საშეღავათო სისტემა.

- **ადრე გადახდილი გადასახადების დაბრუნება** გამოიყენება ფაქტობრივ გადასახდელზე ზემოთ (გადაჭარბებით) თანხის გადახდის დროს. გადასახადები ზედმეტი რაოდენობით შეიძლება ჩაირიცხოს ბიუჯეტში სხვადასხვა მიზეზებით, რომელთა შორის პრაქტიკაში ძირითადად ადგილი აქვს ბეგარის გადამხდელის შეცდომას გადასახადის გამოანგარიშებისას, დადგენილი შეღავათების გამოუყენებლობის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის არასწორად გადახდევინებისას და სხვ²⁰.

მართალია, საქართველოს საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის სასამართლო წესით დაბრუნებას, მაგრამ, ჩვენი აზრით, იმ შემთხვევაში, როდესაც საგადასახადო ორგანოსა და ბეგარის გადამხდელს შორის წარმოიშობა დავა, სასამართლო ხარჯების გადახდა დამნშავე მხარეს უნდა დაეკისროს. უკანონოდ (ზედმეტად) გადახდილი თანხა, რომელიც ექვემდებარება ბეგარის გადამხდელისათვის კანონიერ დაბრუნებას, უნდა მოექცეს ბიუჯეტის დაცულ მუხლებში და უნდა განხორციელდეს მისი რეალურად დაბრუნება. ასეთი მიდგომა არა მხოლოდ ხელს შეუწყობს საგადასახადო კულტურის ამაღლებას, არამედ გაზრდის საზოგადოების ნდობას სახელმწიფოსადმი, რაც ამ ბოლო დროს პრობლემურ საკითხს წარმოადგენს საქართველოს პირობებში.

- **საგადასახადო არდადეგები** დღევანდელ პირობებში ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული. იგი ნიშნავს გადასახადის გადახდისაგან ცალკეულ გადამხდელთა მთლიანად გათავისუფლებას დროის გარკვეული

²⁰ როგავა ზ. საგადასახადო სამართლის საფუძვლები. - თბ.2000, გვ. 182.

მონაკვეთისათვის, მაგ., სამეწარმეო საქმიანობის დაწყების მომენტიდან რამდენიმე თვის განმავლობაში, სანამ მეწარმე, როგორც იტყვიან, ფესვებს მოიმაგრებს. საქართველოს პირობებში აღნიშნული საგადასახადო შეღავათი არ გამოიყენება, რაზეც მიგვანიშნებს საგადასახადო კოდექსში ამ კატეგორიის არარსებობა.

საგადასახადო არდადეგების მექანიზმი უნდა იქნეს გამოყენებული ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს მიერ არასწორი გადაწყვეტილებების ან სტიქიური უბედურების პირობებში საფრთხე ექმნება სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებას. მაგალითად, არანაირად არაა გამართლებული საგადასახადო კანონმდებლობაში წლიური ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ საგადასახადო ცვლილებების შეტანა. ასეთ შემთხვევაში შეტანილი ცვლილებების ამოქმედება უნდა იქნეს გადაწყვეტილი დროში მომავალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, რათა სამეურნეო სუბიექტებმა შესაბამისად შეცვალონ თავიანთი ბიზნეს-გეგმები და სამეურნეო საქმიანობის სტრატეგია.

საგადასახადო არდადეგები ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული სტიქიურ შემთხვევების დროს; - გვალვის, წყალდიდობის, სეტყვიანობის და ა.შ., რის გამოც დიდად ზიანდება სოფლის მეურნეობა.

- **საგადასახადო განაკვეთების შემცირება** ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ საგადასახადო პრეფერენციათა რიცხვს მიეკუთვნება. იგი გულისხმობს კანონით დადგენილი საგადასახადო განაკვეთის ნაწილობრივ შემცირებას ან მთლიანად განთავისუფლებას გადასახადის გადახდისაგან.

საგადასახადო განაკვეთის ნაწილობრივ შემცირება ეკონომიკური საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში უფრო მასშტაბურად გამოიყენებოდა საქართველოში საგადასახადო კოდექსის მიღებამდე. მაგალითად, კანონით «საწარმოთა მოგების (შემოსავლის) გადასახადის შესახებ» მოგების გადასახადის საშუალო განაკვეთი (20%) შემცირებული იყო 10 პროცენტამდე სამრეწველო და სამშენებლო საწარმოებისათვის. გარდა ამისა, ამავე კანონით ახლად შექმნილი ყველა საწარმო სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან ერთი

წლის განმავლობაში თავისუფლდებოდა მოგების გადასახადის გადახდისაგან, ხოლო მომდევნო ორი წლის განმავლობაში გადასახადის განაკვეთს იხდიდა 50%-ის ოდენობით.

სამწუხაროდ, საგადასახადო კოდექსით გაუქმებულ იქნა მთელი რიგი პრეფერენციები, დაკავშირებული საგადასახადო განაკვეთის ნაწილობრივ შემცირებასთან. აღნიშნული მოდელის გამოყენება ცალკეულ შემთხვევებში აუცილებელი და მიზანშეწონილია, განსაკუთრებით ისეთი დარგებისათვის, რომლებიც ქვეყნისათვის პრიორიტეტულს წარმოადგენს, ისეთების, რომლებიც კმნიან კონკურენტუნარიან, საექსპორტო დანიშნულების პროდუქციას და მომსახურებას, აგრეთვე უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელ პირობებს, ამიტომ საჭიროა ასეთი საგადასახადო შეღავათი საგადასახადო კოდექსში ისევ იქნეს შეტანილი.

- **ინვესტიციური პრემია** შეიძლება განხილულ იქნეს საგადასახადო შეღავათების ერთ-ერთ სახედ, რომელიც ფართოდ არის

გავრცელებული განვითარებულ ქვეყნებში და ნაკლებად გამოიყენება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ კაპიტალის უცხო ქვეყანაში ექსპორტის დროს კორპორაციებს მოგების გადასახადის განაკვეთი უმცირდებათ. პრემიები გაიცემა კომპანიებზე უცხოეთში პირდაპირი ინვესტიციების პროცესში. მოგების გადასახადის განაკვეთის შემცირებით ისინი აძლიერებენ თავიანთ ფინანსურ რესურსებს და სხვა ქვეყნებში წარმოების ფუნქციონირებას უწყობენ ხელს (მაგალითად საბერძნეთში. ცნობილია, რომ ეს ქვეყანა მდიდარია შავი, თეთრი და ფერადი მარმარილოთი, ბიზნესმენი, რომელიც ექსპორტზე გაიტანს მარმარილოს დიდი პარტიებით ღებულობს შესაბამის ინვესტიციურ პრემიას სახელმწიფოსაგან და თავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან).

მართალია, საქართველოში ჯერჯერობით ნაკლებად არსებობს ფინანსური შესაძლებლობა სხვა ქვეყნებში საწარმოო ობიექტების გახსნისა და განვითარებისათვის, თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ახლო მომავალში არ

მოხდება მეზობელ ქვეყნებში ქართული ფირმების ან ფილიალების დაარსება, ამიტომ საჭიროა ქვეყანაში შეიქმნას სათანადო კანონმდებლობა. საქართველოს გააჩნია უნიკალური ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, რომლებიც საშუალებას იძლევა წარმოებულ იქნეს ისეთი პროდუქცია უცხოეთის ქვეყნებში, რომელზედაც დიდი მოთხოვნილებაა. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ქართული ღვინო, კონიაკი, თაფლი და სხვა სასოფლო-სამეურნეო თუ სამრეწველო პროდუქტი. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საგადასახადო პოლიტიკაში ისეთი მექანიზმის ჩადება (ინვესტიციური პრემიის სახით), რომელიც სტიმულს მისცემს ქართველ მეწარმეებს ხელი მოჰკიდონ უცხო ქვეყნებში ქართული საწარმოების დაარსებას.

საგადასახადო შეღავათების აღნიშნული ჯგუფის ერთ-ერთი ძირითადი სახეა **დაუბეგრავი მინიმუმი**, რომელიც ფართოდ გამოიყენება თითქმის ყველა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც. აღნიშნული პრეფერენცია ძირითადად გამოიყენება **საშემოსავლო** გადასახადით და ხშირ შემთხვევაში

დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგრვისას. საუბარია იმაზე, რომ დაუბეგრავი მინიმუმი, რომელიც შეადგენდა 9 ლარს, დღეისათვის საერთოდ გაუქმებულია, მაშინ როდესაც მოსახლეობის ერთ სულზე საარსებო მინიმუმი განისაზღვრება 130 ლარით, ხოლო პენსიის მოცულობა უმრავლესი პენსიონერებისათვის შეადგენს 75 ლარს. ასეთი მიდგომა დაუბეგრავი მინიმუმისა და საპენსიო განაკვეთისადმი მიუღებელია და ეწინააღმდეგება სამართლიანობის პრინციპს, იგი საზოგადოების სამართლიან გულისწყრომას იწვევს.²¹

- საგადასახადო პრეფერენციების მეორე ჯგუფს, რომელიც გულისხმობს **საგადასახადო ფასდაკლებას**, შეიძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე ფასდაკლება წიაღისეულის გამოფიტვაზე. ეს უკანასკნელი გამოიყენება მომპოვებელი დარგის იმ საწარმოებზე, რომელთა ხარჯები წიაღის მოპოვებაზე მეტია საშუალო დარგობრივ მაჩვენებელთან შედარებით. **სამწუხაროდ**, საქართველოს საგადასახადო კოდექსში საგადასახადო შეღავათების

21. მესხია ი., ნიკოლეიშვილი ო. გადასახადები და დაბეგრვა. - თბ., 2002, გვ. 61-62.

ნუსხაში არაა გათვალისწინებული საგადასახადო ფასდაკლება წიაღისეულის გამოფიტვაზე, რაც, ჩვენი აზრით, მომავალში უნდა განხორციელდეს იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს უნიკალური წიაღისეული სიმდიდრეების მოპოვების ბუნებრივი გარემო თანდათანობით უარესდება, აგრეთვე მათი მომპოვებელი საწარმოების ტექნიკა და ტექნოლოგია მოძველებულია, რაც იწვევს დამატებითი ხარჯების გაწევის აუცილებლობას და ხშირ შემთხვევაში რენტაბელური საწარმოების დახურვას.

საგადასახადო შეღავათების იმ მექანიზმებს შორის, რომლებიც რეალურად უზრუნველყოფენ ეკონომიკური პროცესების რეგულირებას, განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ზემოთ მოყვანილი კლასიფიკაციის მესამე ჯგუფში შემავალი პრეფერენცია **საგადასახადო კრედიტის სახელწოდებით.**

აღნიშნული პრეფერენციის ირგვლივ ეკონომიკურ ლიტერატურაში განსხვავებული შეხედულებები არსებობს. ერთი მხრივ, იგი გაგებულია როგორც გადასახადის თანხის გადახდის

დროის გადავადება²², ჩვენი აზრით, უნდა დავეთანხმოთ პირველ მოსაზრებას და საგადასახადო კრედიტის კატეგორიის ქვეშ უნდა მოვიაზროთ გადასახადის ვადაში გადაადგილება. რაც შეეხება საგადასახადო განაკვეთის ან გადასახდელი თანხის შემცირებას²³, ეს პროცედურა კრედიტის კატეგორიასთან არ ასოცირდება, რამეთუ ყველა სახის კრედიტი ექვემდებარება დაბრუნებას, ხოლო ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სხვა სახის მოვლენებთან. საგადასახადო კრედიტი, ანუ საგადასახადო დავალიანების დროში გადაწევა, შეიძლება იყოს ორი სახის. პირველი, როდესაც გადავადებულ თანხაზე პროცენტი არ ირიცხება, და, მეორე, როდესაც საგადასახადო თანხას ირიცხება პროცენტები, თუმცა იგი საბანკო პროცენტებზე დაბალი უნდა იყოს - წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთ ოპერაციაზე გადასახადის გადამხდლს არ ექნება ინტერესი და იგი არც შეიძლება ჩაითვალოს საგადასახადო პრეფერენციად.

²² Барулин С.В., Макрушин А.В. Налоговые льготы к элементу налогообложения. - Ж. "Финансы", 2002, №2, с. 41.

²³ Налоги. Словарь - справочник. М.: ИНФРА - М, 2000, с. 116-117.

- საგადასახადო კრედიტი, - როგორც ეკონომიკის რეგულირების ინსტრუმენტი, ძირითადად უნდა იქნეს გამოყენებული ინვესტიციური პროცესების მართვისათვის, ანუ ასეთ კრედიტს უნდა ჰქონდეს ინვესტიციური მიმართულება, მან უნდა უზრუნველყოს საწარმოთა ინვესტიციური და ინოვაციური საქმიანობის სტიმულირება. არსებულ ეტაპზე საქართველოში შექმნილი ინვესტიციური კრიზისი დღის წესრიგში აყენებს მიზნობრივი ინვესტიციური და ინოვაციური საქმიანობის სტიმულირებას. დღეისათვის მოქმედ საგადასახადო კოდექსში აღნიშნული პრეფერენცია არაა დაფიქსირებული, ფირმებს უნდა დაუწესდეთ საგადასახადო დავალიანებათა გადავადების ეტაპები (1-დან 3-წლამდე) იმ ვარაუდით, რომ ისინი გადაიხდიან ბეგარას გარკვეული საპროცენტო დარიცხვებით. ინვესტიციური საგადასახადო კრედიტი ყველაზე უფრო ეფექტიანია მოგების გადასახადის გადახდის შემთხვევაში. ამასთან საგადასახადო თანხის გადავადებას უნდა დაეჭვმდებაროს გადასახდელი თანხის ნახევარი მაინც, რათა საწარმომ იგი ეფექტიანად

გამოიყენოს ინოვაციური პროცესებისათვის. ამრიგად, საგადასახადო შეღავათების სისტემის გონივრული გამოყენება ქმნის ხელსაყრელ პირობებს გადასახადების მარეგულირებელი ფუნქციის რეალიზაციისათვის, თუმცა საქართველოში საგადასახადო პრეფერენციების გამოყენებას ფართო ასპარეზი არ მიეცა. პირიქით, ადგილი აქვს მოქმედი შეღავათების შემცირებას და გაუქმებას. ეს პროცესი ძირითადად მიმდინარეობს უცხოელი ექსპერტების და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების რეკომენდაციების საფუძველზე.

როგორც განვითარებული ქვეყნების მაგალითებიდან ვხედავთ, საჭიროა საგადასახადო შეღავათების, როგორც ეკონომიკის რეგულირების და განსაკუთრებით ეროვნული ეკონომიკის განვითარების სტიმულირების მექანიზმის, დაწესება და ამოქმედება. რა თქმა უნდა, უარი უნდა ეთქვას დაუსაბუთებელ საგადასახადო შეღავათებს, განსაკუთრებით ისეთებს, რომლებიც მიმართული იქნება კლანური ჯგუფების ლობირებისაკენ, მაგრამ ამავე დროს ფართოდ უნდა იქნეს

გამოყენებული შედეგების ის სახეები, რომლებიც ხელს შეუწყობს ინვესტიციური პრობლემების დაძლევას და ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტული და სტრატეგიული მიმართულებების აღორძინება-განვითარებას.